ოქმი:**ო63. 63261823**
თარიღი:**01/07/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 21

ქ. სამტრედია. 29 ივნისი, 2026 წელი.

2026 წლის 29 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, გიორგი მეიშვილი, ნათია პაპავა, ირაკლი მელაშვილი, მარიამ ცომაია მ/შ, გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ჯონი თევზაძე, თენგიზ ცაგურია, პაატა კოხრეიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხებში, თამილა კეკელიძე.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო:

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,

საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **შიდა აუდიტის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვა.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

4. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მარიამ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 3 ივნისის*** N 62-6226154102 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ", დადგენილების პროექტის განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა, მუხლობრივად გააცნო **სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი.** აღნიშნა, რომ წესის მიღების მიზანია ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა.

ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერმინები.

შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება”.

წესში განსაზღვრულია: **ცხოველთა სტატუსი და მათი რეგისტრაცია; მეპატრონის უფლებები და მოვალეობები ცხოველის შენახვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით; ცხოველის მიკედლების; ცხოველთა თავშესაფარის, ცხოველების ევთანაზის, პასუხისმგებლობა და ხარჯების ანაზღაურების წესი.**

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მარიამ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 ივნისის*** N 62-622617513 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 10 ივნისის №63-63261613 მომართვის პასუხს. წარმოდგენილია ,,სამტრედიის

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. რომლის მიხედვით, გარდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103^2-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს შეადგენს ზედამხედველობის სამსახურის სანებართვო პირობების დაცვის და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში ცვლილების ამოქმედება გათვალისწინებულია 2026 წლის 01 ივლისიდან.

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შემდეგ, განხორციელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს წესდებაში ცვლილება.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. პროექტის შესაბამისად ცვლილება ხორციელდება 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-17 პუნქტში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,,17. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 36^1-ე, 51^3-ე, 53^3-ე, 55-ე, 55^2-ე, 55^3-ე, 55^6-ე, 77^1-ე, 77^2-ე, 82^5-ე, 103-ე, 103^2-ე, 107^4-ე, 119^1-ე მუხლების, 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილების, 125^4-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 127^1-ე მუხლის მე-5 ნაწილის, 134-ე, 135-ე, 135^1-ე, 146^1-ე, 148-ე, 150-ე, 150^1-ე, 151-ე, 151^2-ე, 152-ე, 152^2-ე, 153^4-ე, 156^1-ე მუხლების, 158^5-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე და 159^1-ე მუხლების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"-ს 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-80 მუხლის საფუძველზე''.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-9 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,13. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 36^1-ე, 53^3-ე, 55^2-ე, 55^6-ე, 77^1-ე, 77^2-ე და 82^5-ე მუხლების, 103-ე მუხლის, 103^2-ე მუხლის, 125-ე მუხლის მე–8, მე-12 – მე-14 ნაწილების, 125^4-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 135-ე და 135^1-ე მუხლების, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 152^2-ე და 156^1-ე მუხლების, 158^5-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და 159-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე''.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 10-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მარიამ ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 22 ივნისის*** N 07-622616115 ***წერილობითი*** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიშის განხილვას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 29 ივნისს ანგარიში განხილულ იქნა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომაზე. წარმოდგენილი ანგარიში ძირითადად მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს. სამსახურის დებულებიდან გამომდინარე, არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაო.

- ანგარიშში, არ არის წარმოდგენილი ჩატარებული აუდიტის ძირითადი მიგნებები. მითითებულია მხოლოდ, რომ ჩატარდა ერთი აუდიტი და გაიცა შვიდი რეკომენდაცია, თუმცა არ არის აღწერილი, რა დარღვევები, რა ნაკლოვანებები გამოვლინდა, რა რისკები გამოიკვეთა და რა გავლენა ჰქონდა მათ მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე. ასევე, ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გაცემული შვიდი რეკომენდაციის შინაარსი, რის გამოც შეუძლებელია შეფასდეს მათი მნიშვნელობა, მიზანი და შესრულების აუცილებლობა.

- ანგარიშში, ჩამოთვლილია 2026 წელს შესამოწმებელი ორგანიზაციები, თუმცა არ არის განმარტებული მათი შერჩევის საფუძველი, რისკების შეფასების კრიტერიუმები და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნები.

- ანგარიშში, არ არის შეფასებული შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა, არ არის წარმოდგენილი შესრულების ინდიკატორები და არ ჩანს, რამდენად იქნა მიღწეული წლიური და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.

- მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი განმარტება, რომ ინსპექტირების განყოფილება სისტემატიურად აწარმოებს მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში თანამშრომელთა გამოცხადებისა და წესრიგის კონტროლს. დებულების შესაბამისად, შიდა აუდიტის ინსპექტირების განყოფილებამ უნდა გააძლიეროს პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ სამსახურებრივი დისციპლინის, ეთიკის ნორმებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნების დაცვის კონტროლი, ხოლო გამოვლენილი დარღვევების მიზეზების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს პრევენციული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მათი შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას, მიზანშეწონილად მიაჩნია სამსახურის ეფექტიანობისა და ადმინისტრაციული პროცესების სრულყოფის მიზნით, საკრებულოს მიერ გაცემულ იქნას რეკომენდაციები.

დაადგინეს: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდში გაწეული მუშაობის ანგარიში, მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით) საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, მ.ცომაია/

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის **შიდა აუდიტის** სამსახურის მიერ, 2026 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, პ.ხარებავა/

/თანამომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავ-რის მ/შ, მ.ცომაია/

4. **სხვადასხვა**

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, საკრებულოს სხდომა გაიმართება 2026 წლის 30 ივნისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი